ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29232773**
თარიღი:**04/10/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122 -ე მუხლის პრველი ნაწილის „გ" პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ოქტომბრის N 28-282327613 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე ზაზა პერანიძეს (პ.ნ.2100101291).

მუხლი 2. 1 (ერთი) თვეში გადასახდელი ქირავნობის თანხა განისაზღვრება **50** ლარით, ხოლო 2 (ორი) წლის ქირავნობის თანხა შეადგენს **1200** ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM